კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mes.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 25 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

www.mes.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
39,13%
79,56%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
43,48%
34,85%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
80,00%
26,25%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
57,69%
37,87%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
43,48%
21,90%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
21,43%
29,67%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20,00%
14,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრი" სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის კომპეტენციის აღწერა და მინისტრის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

მინისტრი

დიმიტრი შაშკინი

სამუშაო გამოცდილება:

12. 2009- დღემდე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
02.2009 – 12.2009	საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი, დემოკრატიული რეფორმების მეორე ტალღის კოორდინატორი;
1998- 2009	საარჩევნო კამპანიის კონსალტინგი და მენეჯმენტი;
2007–2009	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), საქართველოს პროგრამის დირექტორი;
2001-2007	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), საქართველოს პროგრამის ოფიცერი;
1998– 2001	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), პროგრამის ოფიცრის მოადგილე;
1997-1998	ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA), დირექტორის თანაშემწე.
1996	საქართველოს ეროვნული შეიარაღებული ძალები –ლეიტენანტი, ანალიტიკის სამხედრო ბაზა;
1992-1993	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო –შეიარაღების სამსახურის ინსპექტორი.

განათლება:

1993 -1998	**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი (დაამთავრა წითელ დიპლომზე);** მაგისტრის ხარისხი სისხლის სამართალში;

2. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მოადგილეები" სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის მოადგილეთა კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:



3. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფაქსის ნომერი, შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი და ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა:



4. განყოფილებაში „დაგვიკავშირდით“ სასურველია მოიძიებოდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის ერთიანი სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, ტერიტორიული ორგანოს (საგანმანათლებლო რესურსცენტრების სარეკვიზიტო ცნობარი მოცემულია ცალკე ქვე-განყოფილებაში) და უკლებლივ ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები):

საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები

რაიონი	სახელი, გვარი	ტელეფონი	ელ–ფოსტა	მისამართი
თბილისი				
ვაკე-საბურთალო	ხათუნა მაჭარაშვილი	832 2 45-16-68	x_macharashvili@mes.gov.ge	"ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68"
მთაწმინდა-კრწანისი	მედიკო სამსონია	832 2 45-26-06	m_samsonia@mes.gov.ge	"ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68"
ისანი-სამგორი	ნესტან ზუხბაია	832 2 27-37-85	n_zukhbaia @mes.gov.ge	"ქ. თბილისი, ავლაბრის №34"
დიდუბე-ჩუღურეთი	შორენა დეკანოსიძე	832 2 91-09-49	sh_dekanosidze@mes.gov.ge	"ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №68"
გლდანი-ნაძალადევი	რუსუდან ჩხეტია	832 2 95-07-18	r_chxetia@mes.gov.ge	ქ. თბილისი, უზნაძის №52
სამეგრელო ზემო სვანეთი				
აბაშა	მერაბ მიგინეიშვილი	8(212) 9-12-18	m_migineishvili@mes.gov.ge	აბაშა, კაჭარავას ქ.№2
ზუგდიდი	ჯოჯუა აზა	8(215) 5-14-38	a_jojua@mes.gov.ge	ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას №35
მარტვილი	სონია ჭოჭუა	95-64-81	s_chochua@mes.gov.ge	მარტვილი, თავისუფლების ქ. №10
სენაკი	მანანა გრიგოლავა	8(213) 2-28-39	m_grigolava@mes.gov.ge	სენაკი, რუსთაველის №112
ფოთი	გოჩა ქორქია	8(293) 2-20-41	g_korkia@mes.gov.ge	ფოთი, გორგასლის ქ.№37
ჩხოროწყუ	ლია ჯალაღონია	8(217) 2-12-12	l_jalagonia@mes.gov.ge	ჩხოროწყუ, გობეჩიას ქ.№7
წალენჯიხა	რუსუდან სამუშია	8(216) 2-26-45	r_samushia@mes.gov.ge	წალენჯიხა, სალის ქ.№2
ხობი	ხათუნა გერგაია	8(214) 2-31-39	x_gergaia@mes.gov.ge	ხობი, ცოტნე დადიანის ქ.№181
მესტია	დარეჯან ნიგურიანი		d_niguriani@mes.gov.ge	მესტია, თამერ მეფის ქ.№99
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი				
ამბროლაური	რამაზ ხაჭაპურიძე	8(239) 2-18-58	r_zachapuridze@mes.gov.ge	ამბროლაური, კოპახიძის ქ.№7
ონი	ნინო მეტრეველი	8(230) 2-03-58	n_metreveli@mes.gov.ge	ონი, აღმაშენებლის ქ.№15
ცაგერი	მაკა ბენდელიანი	8(238) 2-22-27	m_bendeliani@mes.gov.ge	ცაგერი, რუსთაველის ქ.№13
ლენტეხი	ბადრი ქარდავა	8(237) 9-11-31	b_kardava@mes.gov.ge	ლენტეხი, თამარ მეფის №31
გურია				
ოზურგეთი	ლელა იმედაშვილი	8(296) 7-53-56	l_imedashvili@mes.gov.ge	ოზურგეთი, კოსტავას ქ, №1
ჩოხატაური	ეთერ წილოსანი	24-64	e_tsilosani@mes.gov.ge	ჩოხატაური, წერეთლის №1
ლანჩხუთი	ნათია ურუშაძე	8(22) 56-59-13	n_urushadze@mes.gov.ge	ლანჩხუთი, კოსტავას ქ.№35
სამცხე-ჯავახეთი				
ადიგენი	მარეხ დათუაშვილი	9 17 42	m_datuashvili@mes.gov.ge	ადიგენი, მესხეთის ქ.№19
ასპინძა	ტრისტან მურადაშვილი	8(264) 9-15-59	t_muradashvili@mes.gov.ge	ასპინძა, რუსთაველის ქ.№7
ახალქალაქი	ნარეის კარაპეტიანი	8(262) 2-32-36	n_karaperiani@mes.gov.ge	ახალქალაქი, მაშტოცის №33
ახალციხე	ნინო დემეტრაძე	8(265) 2-05-32	l_kobesashvili@mes.gov.ge	ახალციხე, კეცხოველის ქ.№6
ბორჯომი	მაია შავიშვილი	8(267) 2-43-21	m_shavishvili@mes.gov.ge	ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1
ნინოწმინდა	ანივარდ მოსოიანი	8(261) 2-26-55	a_mosoiani@mes.gov.ge	ნინოწმინდა, ოვსეპიანის ქ.№16
ქვემო ქართლი				
რუსთავი	მარინა უგულავა	8(24) 12-13-50	m_ugulava@mes.gov.ge	"რუსთავი, მარტავას ქ. №4"

5. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობის სფეროს, ძირითადი ამოცანებია და კომპეტენციის აღწერა. ამასთან, შესაბამის ქვე-განყოფილებაში მოცემულია არა სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია, არამედ სამინისტროს შენობის ისტორია:

შენობის ისტორია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობა წარმოადგენს XIX საუკუნის ღირშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლს. მისი მშენებლობა დაიწყო 1893 წელს და დასრულდა 1895 წელს. 1895 წლიდან შენობაში ბინა დაიდო თბილისის მე-2 კლასიკურმა გიმნაზიამ. 1943 წელს შენობაში ამოქმედდა ადგილობრივ ნახიმოვის სახელობის სასწავლებელი. 1984 წელს შენობა გადაეცა საქართველოს განათლების სამინისტროს. 1994 წლის 9 ნოემბერს მომხდარმა ხანძარმა უმძიმესი ზიანი მიაყენა შენობას, იგი მთლიანად დაიწვა, ხოლო მომდევნო წლებში კლიმატური ზემოქმედებისაგან სერიოზული ზიანი მიადგა შენობის საძირკველსაც.

აღდგენითი სამუშაოების პირველი ეტაპი ჩატარდა 1999-2000 წლებში. პირველი ეტაპის სამუშაოები ჩაატარა სამშენებლო კომპანიამ "საქგვირაბმშენი". შესრულდა შენობის მარჯვენა ფლიგელის ფუნდამენტის გამაგრების სამუშაოები.

გამაგრდა ამავე ფლიგელის მზიდი კედლები რკინა-ბეტონის ჩარჩოთი. ხოლო სართულშუა გადახურვის ხის კონსტრუქციები შეიცვალა მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით. ამ სამუშაოებზე დაიხარჯა 2 000 000 ლარი. აქედან 800 000 ლარი შეადგენდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის წილს, ხოლო დანარჩენი 1 200 000 ლარი - მსოფლიო ბანკის კრედიტს.

მეორე ეტაპი დაიწყო 2002 წლის 23 აპრილს. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით შესასრულებელი იყო შენობის შიდა მოპირკეთება, გათბობა, ელექტროგაყვანილობა და სანტექნიკური სამუშაოები.

ჩატარდა შენობის მარცხენა ფლიგელის გასამაგრებელი სამუშაოები. მეორე ეტაპის სამშენებლო სამუშაოები შეასრულა საქართველოს ნავთობის სამშენებლო კომპანიამ. აღდგენითი სამუშაოების მეორე ეტაპზე დაიხარჯა 1 820 000 ლარი. ამ თანხის 16%(292 000 ლარი) სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებაა. თანხის 84% (1 528 000 ლარი) დაიხარჯა მსოფლიო ბანკის განათლების პროექტის კრედიტიდან. შენობის საერთო ფართი არის 5 400 კვ.მეტრი. აქედან სასარგებლო ფართი უდრის 3 800 კვ. მეტრს.

რა იწერებოდა სტატიებში სამინისტროს შენობის შესახებ

1893 წელი

ტფილისის მეორე კლასიკური გიმნაზია პანსიონის დაარსებას აპირებს და საკუთარის შენობის აგებას კიდეც შეუდგა საკუთარს ადგილზედ კუკიაში, ვერის ხიდთან.
5 ოქტომბერს საძირკველი აკურთხეს. კურთხევას დაესწრნენ: სწავლა-განათლების მზრინველი, გუბერნატორის მოადგილე გრაფი ტიზენგაუზენი, რკინიგზი გამგებელი ბ-ნი ფრიდე, ტფილისის გიმნაზიების დირექტორები, საბჭოს ხმოსნები და სხვ.
"ივერია", №214, 7 ოქტომბერი, 1893 წ.

1895 წელი

მე მხოლოდ ამას ვინატრი, რომ ქართველთა სწავლულთა პირთა ერთმანეთის სიყვარული ისწავონ და ერთმანეთის შეწეობით განავრცონ და განამტკიცონ

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამინისტროს სტრუქტურა“ სტრუქტურულ ხეზე არ მოიძიება ინფორმაცია სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესახებ:



7. სამინისტროს ვებ-გვერდზე სრულად არ არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი და კომპეტენციის აღწერა;
- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება არანაირი ინფორმაცია უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის შესახებ:

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი

სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო
უფროსი: ვალერიან გობრონიძე

მეცნიერების განვითარების ხელშეწყობის სამმართველო
უფროსი: მინდია ოკუჯავა

უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველო
უფროსი: წუგ ზარ ჩიტაია

8. სამინისტროს ვებ-გვერდზე სრულად არ არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და მათ შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები.

9. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ეროვნული პროფესიული საბჭოს ხელმძღვანელების ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები:

ეროვნული პროფესიული საბჭოს შემადგენლობა

საქართველოს მთავრობის განკარგულება N 1023 2011 წლის 13 მაისი ქ. თბილისი
პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს შექმნის შესახებ

1. პროფესიული განათლების განვითარებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო დაწესებულებების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის, ასევე პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების კოორდინირებულ მოქმედებათა უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად შეიქმნას პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

დიმიტრი შაშკინი	–საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე
გიორგი ავალიანი	–საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე
მალხაზ აკიშბაია	–საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
ჯამბულ ბაკურაძე	–საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე
დავით გიორგაძე	–საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
თეა გულუა	–საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
ლალი ებანოიძე	–საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
რუსუდან კემულარია	–საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე
დავით კერესელიძე	–სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიათა არქივი, საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, ერთიანი განყოფილება პროგრამები/ პროექტები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.* ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილებაში „ტენდერები“ უახლესი სატენდერო განცხადება თარიღდება 2010 წლის 01 დეკემბრით:



11. განყოფილებაში „პროფესიული განათლება” არსებულ ქვე-განყოფილებაში „სახელმძღვანელოები“ მოყვანილი არცერთი ბმული არ იხსნება:

12. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

13. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე, არ მოიძიება სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს ერთიანი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „წლიური ანგარიში“. ამასთან, განყოფილებაში „პროფესიული განათლება“ არსებული ქვე-განყოფილება „2010 წლის ანგარიში“ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების ერთჯერადი ანგარიშით:



2010 წლის ანგარიში

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების ანგარიში

2009 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პრემიერ მინისტრის 2009 წლის 24 ნოემბრის №342 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (პროფესიული განათლების შუალედური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის). აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებას წინ უსწრებდა საჯარო განხილვები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან, პროფესიულ კავშირებთან, პროფესიული ასოციაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საქართველოს მთავრობამ პროფესიული განათლების რეფორმის მიზნად დასახა შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თავსებადი იქნება საერთო ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და ხელს შეუწყობს პიროვნების თვითრეალიზაციას.

პროფესიული განათლების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საფუძველზე მომზადდა ევროკავშირის ,,პროფესიული განათლების სექტორის მხარდაჭერის პროგრამა". განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებით წარიმართა სწორედ აღნიშნული დოკუმენტების შესაბამისად. ამავე დროს, სამინისტრომ დაიწყო 2005-2009 წწ-ში პროფესიული განათლების რეფორმის მიმართულებით განხორციელებული პროგრამების შეფასება, კანონმდებლობის ანალიზი და დასახული მიზნების მისაღწევად უფრო ქმედითი საშუალებების ძიება. შედეგად, 2010 წლის სექტემბრიდან ცვლილებები შევიდა ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში, რითაც სისტემის რეფორმირების პროცესი გადავიდა სრულიად ახალ ფაზაში.

წარმოდგენილ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში სამინისტროს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ პარტნიორი ორგანიზაციები (INWENT, USAID, UNDP, IOM, GTZ, NRC, და სხვ.), მათი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა არაერთი პრიორიტეტული პროექტი (რეკომენდაციები პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში, კონკრეტული პროგრამები პროფესიულ კოლეჯებში), ერთობლივად იგეგმება 2011 წლის აქტივობები, რაც იმის დასტურია რომ პროფესიული განათლების რეფორმის პროცესში აღნიშნული ორგანიზაციების მონაწილეობა არა ფრაგმენტული, არამედ გრძელვადიანი, მიზნობრივი და შედეგზე ორიენტირებულია. *ვრცლად*

16. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება

პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

17. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება იმ პროგრამების/პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო.

18. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს მიერ მომზადებული პროგნოზები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

19. მართალია სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში (ბანერი) სათაურად „კანონმდებლობა“ არსებობს სამართლებრივი აქტების პარამეტრებით ძიების (ფილტრაციის) საშუალება თუმცა მასში განთავსებული კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტები მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან ხსენებული აქტების რაოდენობაც საკმაოდ მწირია. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის (ერთეული შემთხვევების გარდა) სამართლებრივი აქტები. ამასთან, ნორმატიული აქტების პროექტების საძიებო სისტემის მეშვეობით ხსენებული პროექტები არ იძიება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება მოქმედი დებულება და შინაგანაწესი. აღნიშნული აქტები სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ განყოფილებებში:

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

20. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

21. სამინისტროს ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

22. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

23. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, რომელშიც მოყვანილ იქნებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

24. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე).
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;
- არ მოიძიება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა* საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია, *რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/ganatleba_sarezervofondebi.pdf).*

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52,94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
66,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
31,58%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
85,71%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33,33%
0
0,2
0,4
0,6
0,8
1

- **ნავიგაცია**

ნავიგაციის ძირითადი ნაწილი შედგება სურათებისგან, რომლებსა არ გააჩნიათ HTML ALT ატრიბუტი, ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ საძიებო სისტემებს გაუჭირდებათ ვებ-გვერდის ინდექსაცია. ამ პრობლემის გამოსწორების შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფრო მოძიებადი იქნება ყველა საძიებო სისტემაში:



- **ძიება**

ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში, ძიების ველში იწერება ლათინური ასოებით. სასურველია, რომ მოცემულ ველში ავტომატურად იკრიბებოდეს ქარტული ფონტი, ასევე სასურველია არსებობდეს ღილაკი რომელიც გააკონტროლებს თუ რომელი ფონტით სურს წერა მომხმარებელს საძიებო ველში:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

სიახლეების კატეგორიაში, ზოგ ინფორმაციას თან ახლას ვიდეო მასალა. ვიდეო მასალის გასახსნელად კი გამოყენებულია ძალიან მცირე ზომის ღილაკი, რომელიც თითქმის შეუმჩნეველია:

დავალებით, სამინისტროს გენერალური
ადმინისტრაციების საქმიანობის შესწავლას ი
გამოცდებზე დაბალი აკადემიური მოსწრება ა
სამინისტროს გენერალური ინსპექციის უ
სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიაში
საატესტატო გამოცდები წარმატებით დასრულდა
საგამოცდო პროცესი გამართულად, ყოველგვარი ხარვეზების გარეშე წარიმართა. 50
ცოდნა რვა საგანში გამოსცადა. მათგან 30%-მა მაღალი შეფასება მიიღო, ხოლო 5%-მა სა
იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სკოლებში საგანმანათლებლო პროცესი გაუმჯ
ამაღლდა. უპრეცედენტო საატესტატო გამოცდები დადებითად შეაფასა მსოფლიოს
ანალოგის საკუთარ ქვეყანაში დანერგვაზე დაიწყო მუშაობა.

მიუხედავად დიდი წარმატებისა, სამწუხაროდ, საატესტატო გამოცდების შემდეგ გამოიკ
მათ შორის 190-ე, მე-7, 37-ე და 108-ე საჯარო სკოლები, რომელებმაც დაბალი აკადემი
ნიშნავს, რომ აღნიშნულ სკოლებში სწავლება სათანადო დონეზე არ არის უზრუნველყოფ

სასწავლო პროცესის გამართულად წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის ადმინისტრ
საქართველოს კანონის 35-ე მუხლი "პასუხისმგებლობა და სტრუქტურა" განმარტავს: "
სასწავლო გეგმის, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობისა
მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ
საალმზრდელო პროცესსა და ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე თავისი კომპეტენცი
დაწესებულების დირექტორი, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ან/და სტრუქტურუ
N1385)". შესაბამისად, ზემოაღნიშნულ სკოლებში კანონის ეს მუხლი დარღვეულია, ასევ
უფლება, მიიღოს სრულყოფილი საშუალო განათლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მ
სკოლების სამეურვეო საბჭოებს ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის საკითხის გან
სამეურვეო საბჭო თავს აარიდებს და დაკისრებულ დავალებას არ შეასრულებ
პასუხისმგებლობის საკითხიც. აღნიშნულ პროცესს მეთვალყურეობას საქართველოს
სამინისტროს გენერალური ინსპექცია გაუწევს.

VIDEO

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

გარკვეულ კატეგორიებში ბმულები არ მუშაობს, მაგალითად „ქართული“, „უცხოური ენები“, „მათემატიკა“ და სხვა ბმულებს მიბმული უნდა ქონდეთ PDF ფაილები:

შესაბამის ბმულზე გადასვლით კი PDF ფაილი არ იხსნება;

ვებ-გვერდზე არსებობს ცარიელი კატეგორიები სადაც არ მოიპოვება ინფორმაცია - თუ შესაბამისი კატეგორია მზადების პროცესშია ან გაუქმებულია ყველა ცარიელ გვერდზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს შესაბამისი ინფორმაციით:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის ბოლო ნაწილში დარღვეულია სტრუქტურა:



ეს შეცდომა მხოლოდ დიზაინს ეხება, თუმცა ამის გამო ვებ-გვერდი არც თუ ისე კარგად გამოიყურება;

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდზე ვხვდებით ერთ უცნაურ ფაქტს, ერთ-ერთი კატეგორია რომელიც აბსოლუტურად ცარიელია, არის მრავალჯერ გაზიარებული და მოწონებული (Facebook Like) სოციალურ ქსელებში, რაც საკმაოდ არა ლოგიკურია:

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდში მოიძებნება მცირე ხარვეზები, ბმულების გაუმართაობა, ტექნიკური შეცდომები და სხვა დეტალები. რაც უნდა გამოვარჩიოთ ეს არის საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია, რომელიც საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ზოგადად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვებ-გვერდი მეტად დასახვეწია და დასამატებელი აქვს სხვა და სხვა ელექტრონული სერვისები;